განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლელა ჯაში
წევრ(ებ)ი:
მარი ფალელაშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☒ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204872174

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1
საფოსტო ინდექსი	0186
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://glcschool.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	glcschool95@gmail.com , mdschool2001@yahoo.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	(+995) 592 555515

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	*სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანება MES 7 26 0001010543, 04/08/2026 - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსიში ვიზიტის შესახებ“.*
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	*14 აგვისტო, 2026წ.*

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*დაწყებითი საფეხური*	*ქართული ენა*	*ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1, 1 (ერთი) შენობა*
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხური*	*ქართული ენა*	*ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1, 1 (ერთი) შენობა*

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საშუალო საფეხური*	*ქართული ენა*	*ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1, 1 (ერთი) შენობა*

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანების MES 7 26 0001010543, 04/08/2026 - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსიში ვიზიტის შესახებ“ საფუძველზე, მიმდინარე წლის 14 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსიში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

სკოლის ახალ მისამართზე გადასვლის საჭიროება განპირობებულია მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობით. ვიზიტამდე, დაწესებულება ფუნქციონირებდა ჯურხა ნადირაძის N46. თუმცა, მომავალი სასწავლო წლიდან აღნიშნული შენობა საფრთხის შემცველი გახდებოდა, რადგან უნივერსიტეტის მშენებლობის გამო მიმდებარე ტერიტორია, მათ შორის მოსწავლეთა დასასვენებელი სივრცე, დაექვემდებარებოდა დემონტაჟს. შესაბამისად, დაწესებულების დირექციამ მიიღო გადაწყვეტილება 2026-2027 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი განეახლებინა ახალ მისამართზე, ყოფილ სკოლასთან ახლომდებარე შენობაში - პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1, სადაც სრულად იქნება დაცული უსაფრთხოების ნორმები.

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება ფართის ცვლილებასთან დაკავშირებულ პროცესს პასუხისმგებლობით მოეკიდა. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ შემუშავებული, სათანადოდ სტრუქტურირებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ეტაპობრივ ინფორმირებას, მოსწავლეთა და პერსონალის ადაპტაციის ხელშეწყობას, მშობელთა ჩართულობის მექანიზმებს და პროცესის შემდგომი მონიტორინგის განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა მიუთითებს სკოლის მაღალ ინსტიტუციურ პასუხისმგებლობაზე.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასალაში მოწოდებული იყო სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდებოდა მესამე სტანდარტს. მათი განხილვის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები, რის თაობაზეც, შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდა სკოლის ადმინისტრაციას და მიეცა კონკრეტული რეკომენდაციები უზუსტობების აღმოსაფხვრელად. რეკომენდაციები ეხებოდა შინაგანაწესის კორექტირებას, გარკვეული დოკუმენტების დახვეწას და/ან განახლებას, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ცვლილებას, მოწვეული მასწავლებლის დატვირთვასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები, რის შედეგადაც, დოკუმენტებში შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები. ვინაიდან, ვიზიტის პერიოდში სასწავლო ცხრილი ჯერ არ იყო ფორმირებული და პედაგოგთა დატვირთვაც არ იყო საბოლოოდ დადგენილი, მოწვეული სტატუსის მქონე პედაგოგთა დატვირთვასთან დაკავშირებული რჩევები აისახება 2026-2027 სასწავლო წლის საათობრივ ბადეში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
230	**174**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსი დაარსდა 1995 წელს და 30 წელზე მეტია წარმატებით ფუნქციონირებს საგანმანათლებლო სივრცეში.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში ხორციელდება გერმანული ენის დიპლომის, DSD-ის (Deutsches Sprachdiplom) პროგრამა, რომელიც წარმოადგენს გერმანიის მთავრობის მიერ ადმინისტრირებულ ოფიციალურ სერტიფიცირების პროგრამას და აფასებს არაგერმანულენოვანი მოსწავლეების გერმანული ენის ცოდნის დონეს. პროგრამა მოიცავს ორ საფეხურს: თავდაპირველად სკოლაში დაინერგა DSD I, რომელიც შეესაბამება B1 დონეს ევროპული ენების ცოდნის საერთო ჩარჩოს მიხედვით, ხოლო შემდგომში დაინერგა DSD II, რომელიც შეესაბამება B2/C1 დონეს. პროგრამა ხელს უწყობს მოსწავლეების ინტეგრაციას გერმანულ საგანმანათლებლო სისტემასთან. პროგრამის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ DSD I-ის ჩაბარება მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაირიცხოს მოსამზადებელ

კოლეჯში, რომელიც აკავშირებს საშუალო და უმაღლეს განათლებას გერმანიაში, ხოლო DSD II პირდაპირ ადასტურებს გერმანულ უნივერსიტეტებში ჩასარიცხად საჭირო ენობრივი კომპეტენციის ფლობას.
გარდა ამისა, სკოლაში დანერგილია საერთაშორისო პროგრამა TOEFL, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნის დონე საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად.

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად, ასევე, უცხოურ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სწავლის გასაგრძელებლად მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით, სკოლა მნიშვნელოვან რესურსად იყენებს ტუტორინგის პროგრამას. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მე-11 და მე-12 კლასელ მოსწავლეებში საგამოცდო საგნებში საათობრივი ბადის ზრდას, ასევე, ოთხეტაპიან შუალედურ შეფასებას, რომელიც მოსწავლეთა აკადემიური მზაობის მუდმივ მონიტორინგს უზრუნველყოფს. შუალედური შეფასებების შედეგად მიღებული ანალიზი წარმოადგენს საფუძველს დასაძლევი დონეების განსაზღვრისა და შემდგომი აკადემიური პროგნოზისთვის, რაც სკოლას საშუალებას აძლევს დროულად გამოავლინოს თითოეული მოსწავლის საჭიროებები და შესაბამისად დაგეგმოს მხარდაჭერის ინდივიდუალური სტრატეგია.

სკოლის წარმატებული პრაქტიკის ერთ-ერთი მაგალითია შაბათობით ორგანიზებული შემაჯამებელი სამუშაოების სისტემა, რომელსაც ორმაგი დანიშნულება აქვს: ერთი მხრივ, ხელს უწყობს საკვირაო-კვირეული საგაკვეთილო ბადის განტვირთვას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სადიაგნოსტიკო სასკოლო წერების ფუნქციურ დატვირთვას. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა მოსწავლეები შეფასდნენ განმავითარებელი შეფასების პრინციპების საფუძველზე, გათვალისწინებულ იქნეს მათი ინდივიდუალური საჭიროებები საჭირო ინტერვენციების დაგეგმვისა და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერისთვის.

აღმზრდელობითი მიმართულებით განსაკუთრებულ როლს ასრულებს სკოლის მრავალწლიანი ტრადიცია, რომელსაც 30-წლიანი ისტორია აქვს. კერძოდ, 1997 წლიდან ყოველწლიურად იმართებოდა ბანაკი მოსწავლეებისთვის WWF-ის ბაზაზე, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში, ხოლო 2007 წლიდან საბანაკო ცხოვრება გაგრძელდა ქობულეთში, სკოლის საკუთარ ბაზაზე. აღნიშნული ტრადიციას მნიშვნელოვან წვლილს შეაქვს მოსწავლეთა სოციალურ-ემოციურ განვითარებასა და გუნდური მუშაობის უნარების ჩამოყალიბებაში.

და ბოლოს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივი განვითარებას. აღნიშნული მიმართულებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები, რომელთა მიზანია სასწავლო პროცესის ხარისხის უწყვეტი მონიტორინგი და სრულყოფა. სკოლაში შემუშავებულია სპეციალური კითხვარები და საკონტროლო ფურცლები (checklist), რომელთა

საშუალებითაც ხდება სასწავლო პროცესის სხვადასხვა კომპონენტის სისტემატური შეფასება და ანალიზი. ეს ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს გასაუმჯობესებელი მიმართულებები და შემუშავდეს შესაბამისი ინტერვენციები.

გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს ვერიფიკატორის ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სასწავლო პროცესის მიმდინარეობის, დანერგილი მეთოდოლოგიებისა და მიღწეული შედეგების ობიექტური შემოწმება და დადასტურება. ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას საგანმანათლებლო პროცესის ყველა საფეხურზე.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით და გარკვეული ინდიკატორები, რომელიც შეფასებული იყო უარყოფითად, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სრულ შესაბამისობაში გადავიდა (N3.6.2.2., N3.6.3.5.). ინდიკატორებს N3.4.1.1. და N3.4.1.2 , ექსპერტებმა მიანიჭეს ,,მეტწილი,, სტატუსი, ვინაიდან სკოლის მიერ განხორციელებული ქმედებები ამ ინდიკატორებთან მიმართებით უზრუნველყოფდა მათ შესრულებას უახლოეს პერიოდში, მაქსიმუმ, ერთი წლის ვადაში. რაც შეეხება ინდიკატორებს - N3.1.2.3. - შეფასდა უარყოფითად, ვინაიდან, უკვე დასრულებულ კონკურსებში საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ იყო განსაზღვრული დამოუკიდებელი მოწვეული წევრი და დამდგარი გარემოების შეცვლა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი.

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსი 2026-2027 სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესის განხორციელებას/განახლებას გეგმავს ახალ ლოკაციაზე, პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1-ში არსებული შენობის III და IV სართულზე. დაწესებულება სრულად არის დაკომპლექტებული პერსონალით და აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსით.

კერძოდ, 2026-2027 სასწავლო წლისათვის შედგენილი საშტატო განრიგის პროექტი მიხედვით, სკოლაში დადგენილია დირექციის, ადმინისტრაციის, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის შემადგენლობა. გარდა ამისა, განსაზღვრულია შემდეგი პოზიციები: ფინანსური ადმინისტრატორი/ბიბლიოთეკარი, დაწყებითი საფეხურის მენეჯერი (კურატორი), სკოლის ვერიფიკატორი, პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი/საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ფსიქოლოგი, აღმზრდელი პედაგოგი/მასწავლებლის ასისტენტი, გახანგძლივებული ჯგუფის პედაგოგი, სკოლის შემდგომი

აქტივობების კოორდინატორი, მშობლებთან ურთიერთობის კოორდინატორი, მედიისა და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერი, ლაბორანტი, დამლაგებელი, მზარეული, 48 მასწავლებელი და სხვა.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლას დროებით სარგებლობაში, 2031 წლამდე (სკოლის ავტორიზაცია განხორციელდა 2022 წელს), 4 (ოთხი) სართულიანი შენობის I სართულზე მდებარე დამოუკიდებელი შესასვლელი, III სართულზე არსებული 620,15 კვ.მ და IV სართულზე მდებარე 624 კვ. ფართი, შესაბამისი კიბის უჯრედებით. სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი საკლასო ოთახები და კაბინეტები ნათელი და კეთილმოწყობილია, აღჭურვილია მერხებით, სკამებით და სასწავლო პროცესისთვის საჭირო სხვა ინვენტარით. შენობის III სართულზე განთავსებულია დაწყებითი კლასებისთვის განკუთვნილი საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა/კომპიუტერული კლასი, სამასწავლებლო, რესურსოთახი, ლაბორატორია, სამზარეულო, სასადილო ოთახი, ასევე, სველი წერტილი. IV სართულზე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საკლასო ოთახები, ექიმის კაბინეტი, უცხოური ენების კაბინეტები, სპორტული დარბაზი, სველი წერტილები, მათ შორის, ადაპტირებული. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რეაქტივებით და სხვა საჭირო მასალებით. სართულებზე გადაადგილება შშმ პირებისათვის შესაძლებელია ასაკეცი პანდუსების გამოყენებით. სკოლის შესასვლელში პანდუსის საჭიროება არ არის. სკოლის ეზოში დაგეგმილია სპორტული მოედნის მოწყობა (საჭიროა მხოლოდ რბილი საფარის დაგება).

სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმის შესაბამისი სახელმძღვანელოებით, სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის საკუთრებაშია 16 კომპიუტერი, პირველკლასელთა ბუკები – 7, გერმანული ენის კაბინეტში smart- ტელევიზორი, პრინტერი - 4, ქსეროქსი/სკანერი - 2, სკანერი - 1, პროექტორი - 2. კომპიუტერების ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში. სკოლაში უზრუნველყოფილია ხარისხიანი და ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ არის გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული რეგულაცია, კერძოდ, დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი.*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოსთან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმება ერთი წლის ვადაში;*
ინდიკატორი N3.4.1.2.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე (230), ექიმის დასაქმება ერთი წლის ვადაში.*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინო.ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის ავტორიზაცია განხორციელდა 2022 წელს და ექსპერტების მიერ შედგენილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომელიც ამ ეტაპზე აღარ გამოიყენება. წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე, შენობის მოწყობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები განხილულ იქნა სკოლის ძველი ადგილმდებარეობის (ქალაქი თბილისი, ჯურხა ნადირაძის ქუჩა №46) შესაბამისად, რომელიც ამ ეტაპზე არარელევანტურია. წინა წარმოების ფარგლებში გამოვლენილი იყო ხარვეზი ექიმის კაბინეტში საჭირო ინვენტარის შესახებ. მოცემულ ეტაპზე დგინდება, რომ დაწესებულებამ სრულად უზრუნველყო სამედიცინო კაბინეტის მოწყობისათვის აუცილებელი ინვენტარის შეძენა, რითაც აღმოიფხვრა აღნიშნული ხარვეზი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. კერძოდ, დირექტორი, აკადემიური დირექტორი, დირექტორის მოადგილე (კადრების დარგში), პედაგოგიური საბჭო, საერთაშორისო განყოფილება, სწავლების ხარისხის სამსახური, საგნობრივი კათედრები, დისციპლინარული კომიტეტი, დამრიგებელთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელთა კლუბი, პედაგოგები. ყველა პირი თუ სტრუქტურული ერთეული თავის მხრივ ასრულებს წინასწარ გაწერილ ფუნქციებს, რომელიც ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებებში, სკოლის შინაგანაწესში, კადრების მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და სხვა მსგავსი შინაარსის დოკუმენტებში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და დასაქმებული პირის ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული. დაწესებულებას ამ მიმართულებით წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის ბრძანება N2/005, 29.04.2026წ. - HR-პოლიტიკის დანართი N1, ასევე, N2/005, 29.04.2026წ. - HR-პოლიტიკის დანართი N2 და დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ სკოლას წარმოდგენილი აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის წესი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ჩანაცვლებას საჭიროების შემთხვევაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარადაა განაწილებული, რომ ის ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სკოლის დირექცია შედგება შემდეგი თანამშრომლებისგან: სკოლის დირექტორი, აკადემიური დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სასწავლო ნაწილი. ადმინისტრაციის შემადგენლობაში შედიან: ფინანსური ადმინისტრატორი, სკოლის მენეჯერები, საინფორმაციო მენეჯერი/ბიბლიოთეკარი, საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი; სკოლაში მასწავლებლის საქმიანობა ხორციელდება საგნობრივი კათედრებისა და პროგრამების ხელმძღვანელებთან მუდმივი თანამშრომლობითა და ჩართულობით. თითოეული პედაგოგი აქტიურად თანამშრომლობს, აზიარებს და იზიარებს ინფორმაციას კათედრის წევრებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ სკოლას დოკუმენტებშიც აქვს გაწერილი როგორც მასწავლებლის, ისე საგნობრივი კათედრებისა და პროგრამის ხელმძღვანელების ფუნქცია-მოვალეობები.

დაწესებულებაში არსებობს მასწავლებელთა დამხმარე პერსონალი, რომელიც შედგება: გახანგრძლივებული ჯგუფების აღმზრდელებით დაწყებით კლასებში. თითოეული თანამშრომლისა და სტრუქტურილი ერთეულის ფუნქციები ასევე პასუხისმგებლობები გაწერილი და განაწილებულია სხვადასხვა დოკუმენტში, როგორებიცაა სკოლის შინაგანაწესი, თანამშრომელთა ხელშეკრულებები, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტები: (მაგ. დანართი N1 — სტრუქტურა და თანამშრომელთა კატეგორიები, დანართი N2 — სამუშაო აღწერილობა). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N1 — სტრუქტურა და თანამშრომელთა კატეგორიები;
- დანართი N2 — სამუშაო აღწერილობა;
- დანართი N11 - პრევენციული და ინტერვენციული მართვის წესი;
- შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის დირექტორის ბრძანებები
- სკოლის შინაგანაწესი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- თანამშრომელთა პირადი საქმეები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსიში პროცესები მიმდინარეობს დაწესებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად, მოქმედი საკანონმდებლო აქტების გათვალისწინებით. დაწესებულებას ყველა თანამშრომელთან გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება. გარდა ამისა, თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები

გაწერილია სკოლის შინაგანაწესშიც - სკოლის თანამშრომლები ხელმოწერით ადასტურებენ ამ წესების გაცნობას და დაცვას. იმ შემთხვევაში, თუ სკოლის შინაგანაწესში ან სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში განხორციელდება რაიმე სახის ცვლილება, სკოლა დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას თანამშრომლებს აღნიშნულის შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

დაწესებულებას დოკუმენტებით დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის მკაფიო წესები და პირობები. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტები ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსით და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებით განსაზღვრულ ნორმებსა და რეგულაციებს. როგორც ადგილზე ვიზიტის დროს დადგინდა, დაწესებულება რეალობაშიც წარმატებით ახორციელებს ყველა იმ წესსა თუ რეგულაციას, რომელიც გაწერილი აქვს თავისივე შედგენილ დოკუმენტებში. სკოლამ წარმოადგინა საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, სადაც დეტალურად აქვს გაწერილი თანამშრომლის ჩანაცვლების წესი ისე, რომ სწავლა-სწავლების პროცესი გაგრძელდეს სრულფასოვნად. ამავე საკითხის შესახებ გაწერილია სკოლის მიერ შემუშავებულ შინაგანაწესშიც, სადაც დეტალურად არის გაწერილი თანამშრომელთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა, დასვენების დრო, ანაზღაურების გაცემის წესი, შვებულებების მიცემის მექანიზმები, შრომის პირობების დაცვის პრინციპები, წახალისებისა და დისციპლინის ღონისძიებები, მატერიალური პასუხისმგებლობა, ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები და სკოლაში ჩაცმულობის წესი. შინაგანაწესი განიხილება როგორც შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, სკოლის თანამშრომელი ხელმოწერით ადასტურებს მის გაცნობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას გაწერილი აქვს თანამშრომელთა მიღების წესი ცალკე დოკუმენტად (დირექტორის N2/005, 29.04.2026წ. ბრძანება), რომელშიც აღწერილია ყველა ის ეტაპი, რომელსაც გადის სკოლა კადრების მოსაზიდად და ახალი პოზიციისა თუ ვაკანტური ადგილის გამოცხადებიდან, კადრის დასაქმებამდე. ამავე დოკუმენტში არის გაწერილი პრეტენზიის განხილვის წესიც,

რომელიც საშუალებას იძლევა პროცესი გახდეს კიდევ უფრო გამჭირვალე და ობიექტური. დაწესებულებაში ადამიანური რესურსების შერჩევის პროცესი ეფუძნება ღიაობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს. სკოლაში ახალი თანამშრომლები შერჩევა ხდება კონკურსის გზით, **თუმცა, საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში არ არის გათვალისწინებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული რეგულაცია, კერძოდ, დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი.** აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის პერიოდშიც საკონკურსო მასალის დათვალიერების საფუძველზეც. დაწესებულებაში გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ქვეყნდება სხვადასხვა პლატფორმებზე, მათ შორის, teacherjobs.ge, რაც ზრდის ხელმისაწვდომობასა და ღიაობას. **დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოაგზავნა საკონკურსო დოკუმენტაცია, საიდანაც დასტურდება, რომ გამოიცა ახალი ბრძანება საკონკურსო კომისიის შემადგენლობის შესახებ, სადაც განსაზღვრული დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი, ასევე, ბრძანება განმეორებითი კონკურსის გამოცხადებაზე და გამოცხადებული ვაკანსიები განმეორებით განთავსდა teachersjobs.ge -ზე. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გაიზიარა სკოლის პოზიცია, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იდენტიფიცირებული ხარვეზი უკავშირდება უკვე დამდგარ ფაქტობრივ გარემოებას.** **ინდიკატორი არ აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსიში ამ ეტაპზე დასაქმებულია 67 თანამშრომელი. კერძოდ, 2026-2027 სასწავლო წლისათვის შედგენილი საშტატო განრიგის პროექტი მიხედვით, სკოლაში დადგენილია დირექციის, ადმინისტრაციის, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის შემადგენლობა. გარდა ამისა, განსაზღვრულია შემდეგი პოზიციები: ფინანსური ადმინისტრატორი/ბიბლიოთეკარი, დაწყებითი საფეხურის მენეჯერი (კურატორი), სკოლის ვერიფიკატორი, პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი/საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ფსიქოლოგი, აღმზრდელი პედაგოგი/მასწავლებლის ასისტენტი, გახანგძლივებული ჯგუფის პედაგოგი, სკოლის შემდგომი აქტივობების კოორდინატორი, მშობლებთან ურთიერთობის კოორდინატორი, მედიისა და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერი, ლაბორანტი, დამლაგებელი, მზარეული, 48 მასწავლებელი და სხვა. სკოლაში ვიზიტისას ექსპერტებმა განიხილეს დასაქმებულების პირადი საქმეები, რომელიც შეიცავდა საჭირო დოკუმენტაციას და შესაბამის ცნობებს

ნასამართლობის, უფლების ჩამორთმევის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა განახლებული ხელშეკრულებები მასწავლებელთა სტატუსების შესაბამისად და ამ ეტაპზე, ხელშეკრულებები გაფორმებულია მოქმედი ნორმატიული აქტებისა და შრომის კოდექსით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო პუნქტის გათვალისწინებით. სკოლის თითოეული თანამშრომლის კვალიფიკაცია შეესაბამება ამ ეტაპზე დაკავებულ პოზიციას. დოკუმენტების გაცნობისას დადგინდა, რომ სკოლა თანამშრომლების დასაქმებისა და მათთან მუშაობის პროცესში მნიშვნელოვნად ითვალისწინებს შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსიში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებზე დაფუძნებული გარემო, რაც ხელს უწყობს სკოლის თანამშრომლების პროფესიულ ზრდასა და საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით განხორციელებას. სკოლაში სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის აზრი მიღებული და გათვალისწინებულია. სასკოლო საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა განვითარდეს, მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები და აიღოს პასუხისმგებლობა თავისივე გადაწყვეტილებებზე. ინტერვიუების პროცესში განსაკუთრებით შესამჩნევი იყო, რომ მასწავლებლები ნამდვილად მხარდამჭერები არიან ერთმანეთსთვის. ერთმანეთის მიმართ გამოირჩევიან კეთილგანწყობით. განსაკუთრებით, იმ პედაგოგებთან, რომლებიც ახლა შეუერთდნენ გუნდს, რაც ხელს უწყობს მათ სწრაფად ადაპტაციას და პროფესიულ ინტეგრაციას. სკოლის დირექცია მასწავლებელთა საქმიანობაში მხოლოდ სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე ან მასწავლებლის სურვილით ერთვება, ეს ჩართულობა, მუდმივად ემსახურება თანამშრომლისა და პროცესების მხარდაჭერას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სკოლა აქტიურად მონაწილეობს და ვითარდება ადამიანური რესურსის მართვის მიმართულებით - მათ წარმოადგინეს სხვადასხვა ტრენინგისა და საინფორმაციო შეხვედრის მასალები, სადაც იზიარებენ ამ მიმართულებით არსებულ სიახლეებსა და სტრატეგიებს. მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო აქტივობა ამ მიმართულებით შემდეგია: თანამშრომლებისთვის შეთავაზებული იქნა ,,პროფესიული განვითარების ტრენინგი ადამიანური რესურსების მართვაში“. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების საკმაოდ მრავალფეროვანი პრაქტიკა. დაწესებულებაში ტარდება რეგულარული შეხვედრები, სადაც განიხილება ის წარმატებული გამოცდილება, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში დაგროვდა. ასეთი ტიპის შეხვედრებს აქვს რეგულარული სახე. სკოლა ყველა წარმატებულ პროექტსა თუ აქტივობას აარქივებს დოკუმენტების სახით იმისათვის, რომ სამომავლოდაც შეძლონ გაზიარება. სკოლას ყავს ე.წ. იდენტიფიკაციის ჯგუფი, რომელიც მუდმივად ადევნებს თვალს ამ პროცესებს - ხდება წარმატებული გამოცდილებების იდენტიფიცირება, შემდეგ კი მათი გაზიარება სხვა კოლეგებისთვისაც. ასევე სპეციალური ნებართვის შემდეგ, წარმატებული პროექტებისა თუ აქტივობების გასაჯაროვება სხვადასხვა სოციალური ქსელებისა თუ ღონისძიებების საშუალებითაც ხდება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში არსებობს დაჯილდოვების პრაქტიკა, როდესაც წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და წახალისების მიზნით სკოლა აჯილდოვებს თანამშრომლებს. თანამშრომელთა წახალისების შესახებ დოკუმენტები გვხვდება თანამშრომელთა პირად საქმეებშიც. ადგილზე ვიზიტის დროს დოკუმენტების გაცნობისას ჩანს სკოლის მიერ გამოცხადებული მადლობის წერილები და სპეციალური სერტიფიკატები, რომლების სხვადასხვა დროს გადაეცათ სკოლის თანამშრომლებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N1 — სტრუქტურა და თანამშრომელთა კატეგორიები;
- დანართი N2 — სამუშაო აღწერილობა;
- დანართი N11 - პრევენციული და ინტერვენციული მართვის წესი;
- შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის დირექტორის ბრძანებები
- სკოლის შინაგანაწესი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- თანამშრომელთა პირადი საქმეები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმი. ამასთან დაკავშირებით სკოლა თანამშრომლებს პერიოდულად უგზავნის კითხვარებს, რომელთა საშუალებითაც ადგენს მათ საჭიროებებს. შემდეგ კი სთავაზობს შესაბამის მხარდაჭერას სხვადასხვა აქტივობებისა თუ რესურსის სახით. ამ პროცესების შესახებ სკოლას მომზადებული აქვს შესაბამისი დოკუმენტებიც, სადაც დეტალურად აღწერს სკოლის პრაქტიკას. ასეთი დოკუმენტებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე ,,სკოლის პერსონალის და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი''. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს თანამშრომლის შეფასების წესი, რომელშიც გაწერილია ყველა ის ინსტრუმენტი, რისი საშუალებითაც ხდება თანამშრომლის შეფასება. სკოლა ამ მიმართულებით აქტიურად იყენებს 360 გრადუსიან შეფასებას, რომელსაც ეფექტურ ინსტრუმენტად მიიჩნევენ და აქტიურად იყენებენ. სწორედ ამ და სხვა მექანიზმების საშუალებით, სკოლა მუდმივად ცდილობს დაადგინოს პერსონალის საჭიროებები და იზრუნოს ამ საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც განვითარებისთვის, ასევე პერსონალის წახალისების მიზნით. სკოლა განვითრებისთვის იყენებს შემდეგ აქტივობებს:

- ზაფხულისა და ზამთრის ყოველწლიური სემინარები;

- გამოცდილების გაზიარება უცხოეთში (ჰაიდელბერგი, DSD, გერმანია);
- TOEFL/English Book-ის სემინარები;
- მენტორინგი, კოლეგებს შორის ცოდნის გაზიარება;
- სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სემინარები;
- მეთოდური ლიტერატურით უფასო უზრუნველყოფა;
- პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში სრული ჩართვა;
- ტრენინგების/კურსების დაფინანსება

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა ხდება იმ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, რომელთა იდენტიფიცირება ხდება ზემოაღნიშნული კვლევების საფუძველზე. სკოლის მიერ შეთავაზებული გეგმა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საჭიროება გამოიკვეთება კონკრეტული თანამშრომლის შემთხვევაში. ზოგადად, დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს ტრენინგ-კურსებს (როგორც შიდა, ისე გარე კურსები), სპეციალურ რესურსებს, თუ ამისი საჭიროება აქვს, ონლაინ კურსებს, უცხოელ კოლეგებთან შეხვედრებისა და მათი გამოცდილების გაზიარებას და სხვა. ყველა ამ აქტივობის დაგეგმვა და შეთანხმება ხდება იმ თანამშრომელთან, რომლის შემთხვევაშიც გამოიკვეთება რაიმე სახის საჭიროება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსი ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, დანერგილი აქვს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც თანამშრომლები მუდმივად მართავენ შეხვედრებს და უზიარებენ გამოცდილებას ერთმანეთს, ხდება ერთმანეთის აქტივობებსა და გაკვეთილებზე დასწრება. სკოლა ფინანსურადაც უჭერს მხარს კარიერული განვითარებისთვის გაჟღერებულ ინიციატივებს. თანამშრომლებს უფინანსებს სხვადასხვა ტრენინგებსა და ღონისძიებებს, მაქსიმალურად ცდილობს გააცნოს მათ საერთაშორისო გამოცდილება და ამ გზითაც დაეხმაროს მათ კარიერულ ზრდაში.

როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, სკოლა მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კარიერულ ზრდასა და განვითარებაზე. ამისათვის ხშირად თავად ორგანიზებას უწევს შესაბამის შეხვედრებს, რიგ შემთხვევებში, კი სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა და აქტივობებში სთავაზობს მონაწილეობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

დოკუმენტში ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა სკოლას გაწერილი აქვს თანამშრომლების ინტეგრაციის წესი სამუშაო გარემოსთან. გარდა ამისა, ცალკე დოკუმენტადაც აქვს გაწერილი მოსწავლეთა და თანამშრომელთა ადაპტაციის წესი. როგორც ინტერვიუს დროის გაირკვა, ყველა ეს მექანიზმი, რომელიც აღნიშნულ დოკუმენტებშია წარმოდგენილი, პრაქტიკულადაც წარმატებით ინერგება სასკოლო გარემოში. ადაპტაციის წესში გაწერილია ყველა პასუხისმგებელი პირი და ყველა კვირა დაგეგმილია ისე, რომ სკოლა მუდმივად იყოს ჩართული ახალი თანამშრომლის მხარდაჭერის პროცესში. გარდა ამისა, შემუშავებულია უკუკავშირის ფორმები, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლისთვის, რომ დროულად დაადგინოს ყველა საჭიროება, რათა შესთავაზოს ახალ თანამშრომელს შესაბამისი მხარდაჭერა. ეს თავის მხრივ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს და აზღვევს სასწავლო პროცესის გამართულად მუშაობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა ჯიელსი მუდმივად ცდილობს წაახალისოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, ამ მიმართულებით სკოლას დოკუმენტიც აქვს დამტკიცებული, რომლის მიხედვითაც ხდება პროცესების წარმართვა. ,,სკოლის პერსონალის და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი'' - დოკუმენტი აერთიანებს მხარდაჭერის წესსა და ასევე სპეციალური განცხადების ფორმას, რომლის საშუალებითაც სკოლის თანამშრომელს შეუძლია მიმართოს სკოლას სპეციალური ინიციატივით. ეს კონკრეტული ფორმა ეხმარება დასაქმებულს, რომ განსაზღვროს ის საჭიროება, რომელიც აქვს. დოკუმენტის მიხედვით და ასევე სკოლაში ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა მუდმივად ადევნებს თვალს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს და ცდილობს წაახალისოს თითოეული მათგანი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• სკოლის პერსონალის და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი
• თანამშრომლის შეფასების წესი
• ადაპტაციის პროცედურა
• წახალისების წესი
• სკოლის დირექტორის ბრძანებები
• სკოლის შინაგანაწესი
•ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
•თანამშრომელთა პირადი საქმეები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

წარმოების ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, სადაც დაწესებულება მიზნად ისახავს პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობას შიდა მექანიზმების საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც გამოიყენება სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის. სკოლა ჯიელსიში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის ხარისხის მართვის სამსახური. აღნიშნული დოკუმენტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა და წარმართვაა. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით ხდება დაგეგმილი სასწავლო პროცესის მხარდაჭერა და მასთან დაკავშირებული შეფასებების წარმოება. ამ შეფასებებს კი სკოლა შემდგომში სწორედ საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად იყენებს. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და სკოლაში განხორციელებული ვიზიტის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. სკოლას ამ მიმართულებით წარმოდგენილ დოკუმენტებში დეტალურად აქვს აღწერილი ყველა მექანიზმი, რომელსაც ხარისხის გასაუმჯობესებლად და მონიტორინგისთვის მუდმივად იყენებს. ასეთი დოკუმენტებია: ვერიფიკაციის მექანიზმი, ვერიფიკაციის ბრძანება, სწავლების ხარისხის სამსახურის დებულება და სხვა. ყველა ეს დოკუმენტი არის დასტური იმისა, რასაც სკოლა რეალურად ახორციელებს და იყენებს მათ ხარისხის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დაწესებულებაში მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში. დოკუმენტის მიხედვით, სკოლის **ძირითადი** პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის **დამხმარე** პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა;

ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კ) კარიერული განვითარება; გარდა ამისა, პროცესების აღწერა ეფუძნება ზოგადი განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასა და რეგულაციებს, ისევე როგორც სკოლაში მოქმედ შიდა სამართლებრივ ჩარჩოს, და ამ ჩარჩოს ირგვლივ შემუშავებულ დოკუმენტებს. აქედან გამომდინარე, სკოლაში უზრუნველყოფილია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციური დანაწილება და მკაფიოდაა განსაზღვრული თითოეული მათგანის პასუხისმგებლობები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დაწესებულებას დოკუმენტში - სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, გაწერილი აქვს მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის წესი. სკოლაც ასევე ცალკე დოკუმენტად აქვს დამტკიცებული საჩივრის განხილვის წესი (დანართი 5), რომლის მიხედვითაც დეტალურად არის განხილული მხარეთა უფლებები და გასაჩივრების პროცედურები, ასევე კომისიის შემადგენლობა და ინფორმაცია ამ კომისიის დამტკიცების შესახებ. აქვე გაწერილია გასაჩივრებისა და განხილვის ვადები. გასაჩივრების უფლებიისა და წესის შესახებ გაწერილია იმ ხელშეკრულებებშიც, რომელსაც სკოლა აფორმებს დასაქმებულ პირებთან ამ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ვებ. გვერდზე გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებით მითიებულია, რომ სკოლას აქვს „საჩივრის განხილვის წესი და სააპელაციო კომისია" და მშობელს უფლება აქვს დირექტორთან წარადგინოს საჩივარი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში პერსონალისა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად არსებობს შესაბამისი მექანიზმები. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ასახულია სკოლაში დასაქმებულებისა და მშობლების/კანონიერ წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები. შინაგანაწესი წარმოადგენს

შრომითი ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს. სკოლაში დასაქმებული პირი ან მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს დოკუმენტების გაცნობას. სკოლა უზრუნველყოფს უფლებრივ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას კანონის ფარგლებში. დაწესებულებასთან საჩივრით მიმართვის შემთხვევაში სკოლა უზრუნვეყოფს შესაბამისი კომისიის საშუალებით განიხილოს საჩივარი და მოახდინოს სათანადო რეაგირება. სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლა ყოველდღიურად ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის საჭიროებისა თუ პრობლემის იდენტიფიცირებაზე, ამიტომ თავიდანვე ხდება პრობლემის აღმოფხვრა. აღსანიშნავია, რომ ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ეხება პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებებს, არის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ყველა მათგანისთვის, რაც ხელს უწყობს მუდმივ წვდომას ამ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• სკოლის შინაგანაწესი
• ხელშეკრულებები
• საჩივრის განხილვის წესი
• სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
• ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში არსებობს სიახლეებისა და სხვადასხვა ტიპის ინფორმაცის გაზიარებისა და უკუკავშირის მიღების მრავალფეროვანი პრაქტიკა. დაწესებულება ინფორმაციას ძირითადად სხვადასხვა ონლაინ არხებით უზიარებს სასკოლო საზოგადოების წევრებს,

რაც მშობლებს, მოსწავლეებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს მიიღონ დროული და დეტალური ინფორმაცია. სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუძლიათ სოციალურ ქსელებში საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება და უკუკავშირის გადაცემა სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციას სკოლასა და სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს შორის. დაწესებულებაში აქტიურად იყენებენ დახურულ ჯგუფებს სოციალური ქსელების საშუალებით, სადაც მაქსიმალურად ოპერატიულად ხდება მშობლების ინფორმირება სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით და უკუკავშირის მიღება მათი მხირდან. გარდა ამისა, სკოლაში პერიოდულად ტარდება შეხვედრები როგორც მოსწავლეებთან, ასევე მათ მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს მათი მხრიდან საჭიროებებისა და აქტუალური საკითხების გაცნობას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება პერიოდულად აწყობს შეხვედრებს, რომლის შესახებაც წინასწარ უგზავნის მშობლებს წერილებს და აღნიშნული კორესპონდენციის ნიმუშებიც წარმოადგინა დაწესებულებამ, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლას ნამდვილად აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების პრაქტიკა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობით განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოები, მრჩეველთა საბჭო, მშობელთა კლუბი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. ამ სტრუქტურებში გაწევრიანებულები არიან მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას სკოლის მართვის პროცესებში. სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სკოლის სტრატეგიული მიზნების დასახვასა და მათ მიღწევაში. სამოქმედო გეგმის განხორციელებასა და იმ აქტუალური მიმართულებების ჩამოყალიბებაში, რომელსაც სკოლა განსაზღვრავს საჭიროებებზე დაყრდნობით. თითოეული კოლეგიალური ორგანოს ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ზრდის პროცესების გამჭვირვალობას და გადაწყვეტილებების ეფექტიანობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

• სკოლის შინაგანაწესი
• მოსწავლეთა თვითმმართველობა დებულება
• მშობელთა კომიტეტის დებულება
• მშობელთა კლუბის შემადგენლობა
• მშობლებთან გაგზავნილი წერილები
• მზრუნველთა საბჭოს სახელის ცვლილება
• მზრუნველთა საბჭოს კონცეფცია
• ოფიციალური ვებგვერდი (www.glcschool.ge / glcschool.ge);
• Facebook-ის ოფიციალური გვერდი;

• შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო**

უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსიმ, ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით, განმეორებით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (N1/23, 31.07.2026წ.) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების,, საფუძველზე ,,შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინსტრუქციის" - რედაქტირებული პროექტის - (სამინისტროს წერილი MES 9 26 0000957645, 21.07.2026წ.) შეთანხმების თაობაზე. ვიზიტის პერიოდში ზემოაღნიშნული წესი არ იყო შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან (ხარვეზი).

სკოლის შენობა აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრის უწყვეტ და სრულფასოვან მონიტორინგს. აღნიშნული სისტემის მეშვეობით მიღებულ გამოსახულებაზე წვდომა აქვს შესაბამის პასუხისმგებელ პირს, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოების ეფექტურ ზედამხედველობასა და კონტროლს. სკოლაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, შემუშავებულია შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსი შრომის უსაფრთხოების წესი (დირექტორის ბრძანება N 2/005, 29.04.2026წ.).

აღსანიშნავია, რომ მე-4 სართულზე სკოლის კიბის უჯრედს ესაზღვრება მცირე ზომის აივანი, რომლის მოაჯირს შუა ნაწილი აქვს თავისუფალი, დაუცველი სივრცე. აივანზე გასასვლელი შუშის კარი, სკოლის ინფორმაციით, ჩაკეტილ მდგომარეობაში იქნება. ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანია, დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარება — მოაჯირის გამაგრება, შუა სივრცის დახურვა — რათა სრულად გამოირიცხოს მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკი (ხარვეზი).

ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ შიდა სპორტული დარბაზის ჭერზე არ იყო დამონტაჟებული დამცავი ბადე, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე შეძენილი იყო სკოლის მიერ. აღნიშნული ბადის არარსებობის პირობებში, ჭერზე განთავსებული სანათები ბურთის შემთხვევითი მოხვედრის შედეგად დაზიანების რისკს შექმნის, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსწავლეთა უსაფრთხოებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლამ უზრუნველყოს უკვე შეძენილი დამცავი ბადის დროული მონტაჟი. ასევე, მნიშვნელოვანია მოეწყოს გარე სპორტული მოედნის ასფალტირებული საფარი (ხარვეზი).

შსს სსდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 2026 წლის 23 ივლისის MIA 5 26 02633431 წერილის საფუძველზე, დაწესებულებას შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ასევე, წარმოდგენილი აქვს მიმართვა სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოსთან (დეპარტამენტი) - შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ (1/19, 23.07.2026წ.). სკოლის ახალი შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, გაცემულია შპს ,,ზნიეპის" მიერ (ზემოაღნიშნული კომპანიის შესახებ მონაცემები გადამოწმდა სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის ვებ. გვერდზე და დადგინდა, რომ შპს "ზნიეპი" წარმოადგენს A-ტიპის ინსპექტირების ორგანოს (მშენებლობის სფეროში) და აქვს მიმდინარე, მოქმედი სტატუსი). დასკვნის თანახმად, შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. <u>დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია 3.4.1.1 ინდიკატორთან დაკავშირებით. როგორც ექსპერტებმაც აღნიშნეს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების,, შესახებ დოკუმენტი განმეორებით გადაიგზავნა უფლებამოსილ ორგანოსთან შესათანხმებლად და სკოლა უახლოეს პერიოდში (არაუმეტეს, 1 წლის ვადაში) ელოდება შეთანხმების კორესპონდენციას. გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა მე-4 სართულის აივნის ფოტომასალაც, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ კიბის მოაჯირი გამაგრდა და შუა სივრცე შეივსო მყარი ბადით. სპორტული დარბაზის ჭერზე დამონტაჟდა მანამდე შეძენილი დამცავი, სამმაგი ბადე, გარე ასფალტირებულ სპორტულ მოედანზე მოეწყო რბილი საფარი, რაც დასტურდება წარმოდგენილი ვიდეოფაილით. შესაბამისად, ბოლო სამი ხარვეზი სრულად იქნა აღმოფხვრილი. ინდიკატორი მეტწილად</u> აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლას ჰყავს ექთანი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილ მოთხოვნებს. თუმცა, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობიდან გამომდინარე (230), მნიშვნელოვანია დაწესებულებაში ექიმის დასაქმება (ხარვეზი). აღსანიშნავია, რომ ექიმის ვაკანსია გამოცხადებული იყო ერთხელ, მიმდინარე წლის მაისის თვეში, თუმცა, შესაბამის პოზიციაზე ვერ მოხდა კადრის შერჩევა. ასევე, შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის ექიმის კაბინეტი ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ბრძანებით წარმოდგენილ მოთხოვნებს სამედიცინო კაბინეტის მოწყობის მიმართულებით. კერძოდ, ექიმის კაბინეტში ვიზიტის დროს არ იყო დასრულებული ხელსაბანის მოწყობა (ხარვეზი). დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია 3.4.1.2

ინდიკატორთან დაკავშირებთ, სადაც მითითებულია, რომ ექიმის ვაკანსიაზე გასაუბრება შედგება მიმდინარე წლის 1-2 სექტემბერს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სკოლაში კვალიფიციური ექიმის დასაქმება განხორციელდება უახლოეს პერიდოში, შესაბამისად, ინდიკატორის შეფასება ამ ნაწილში მეტწილია. რაც შეეხება ონკანის მოწყობას ექიმის კაბინეტში - სრულად უზრუნველყოფილია. ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის შინაგანაწესის მე-12 მუხლი შეიცავს ინფორმაციას უსაფრთხოებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმების შესახებ. სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დანერგილია მორიგეობის სისტემა, რომლის ფარგლებშიც წინასწარ დადგენილი განრიგის შესაბამისად, მასწავლებლები მორიგეობენ სკოლის ტერიტორიაზე და ახორციელებენ როგორც მოსწავლეთა ყოფაქცევის, ასევე, სასკოლო გარემოს ზედამხედველობას. გარდა ამისა, სკოლას შტატით ჰყავს განსაზღრული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს შესაბამისი ნორმატიული მოთხოვნებისა და უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე ზედამხედველობა, რისკების იდენტიფიცირება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. ამ მიმართულებით საქმიანობას ახორციელებს სკოლის ფსიქოლოგი, რომლის მუშაობაც ეფუძნება წინასწარ დამტკიცებულ სამუშაო გეგმას. ფსიქოლოგის მუშაობის საათები ინტეგრირებულია საგაკვეთილო ცხრილში, რაც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის სისტემურობას. ფსიქოლოგიური მომსახურების ფარგლებში მიღწეული შედეგები ფიქსირდება და აისახება სემესტრულ და წლიურ ანგარიშებში, რაც შესაძლებელს ხდის საქმიანობის ეფექტიანობის პერიოდულ შეფასებას. გარდა ამისა, სკოლის ფსიქოლოგი ახორციელებს სასკოლო დისციპლინური კომიტეტის კურატორობას. მოსწავლეების ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ კლასის დარიგებლებიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

საშტატო განრიგით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მთელი პერიმეტრის, მათ შორის, სველი წერტილების სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას. კერძოდ, მის ფუნქციებში შედის: უზრუნლვეყოს სკოლის ტერიტორიის, შენობის, დერეფნების, საკლასო ოთახების, სველი წერტილების და სასწავლო ინვენტარის სისუფთავის დაცვა, პერიოდულად ჩაატაროს სადეზინფექციო საშუალებებით დასუფთავება (სველი წერტილების - ყოველდღიურად), დღის განმავლობაში ორჯერ ჩაატაროს შენობის მონიტორინგი (მოწესრიგება და სველი წერტილების საჭიროებისამებრ აღჭურვა) და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას ჰყავს სერტიფიცირებული პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი (სკოლის დირექტორის ბრძანება N2/009, 31.05.2024წ.) და შემუშავებული აქვს შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯი-ელ-სის სკოლის მოსწავლეთა და დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების დაცვის წესი (ბრძანება N2/12, 10.06, 2024წ.). აღნიშნული წესი გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. სკოლას შედგენილი და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ფოტო-ვიდეო გამოსახულების (მატერიალური/ელექტრონული) გადაღებისა და გამოყენების შესახებ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვა უზრუნველყოფილია რამდენიმე პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელთაგან თითოეული ახორციელებს ზედამხედველობას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. კერძოდ, კადრების მართვის მიმართულებით ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე კადრების დარგში, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო წესით შენახვასა და დამუშავებას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერების უზრუნველყოფა და შესაძლო რისკების პრევენცია. ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზების (Eschool),

ციფრული სისტემების დაცვას გარეშე ჩარევისა და არასანქცირებული წვდომისგან. დამატებით, სკოლას ჰყავს სოციალური ქსელების ადმინისტრატორი, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის ოფიციალურ სოციალურ პლატფორმებზე გამოქვეყნებული ინფორმაციის კონტროლსა და შესაბამისობაზე კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსი პერიოდულად ახორციელებს იმიტირებულ სწავლებას - ევაკუაციის პროცესს საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. სკოლაში უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტების პერიოდული შეფასება ხორციელდება შესაბამისი ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე. კერძოდ, 2025 წლის 12 სექტემბრის N2/031 ბრძანებით, სკოლის დირექციამ განსაზღვრა უსაფრთხოების ინსტრუქციებისა და საგანგებო სიტუაციებში მოსამზადებელი გეგმის შესახებ საინფორმაციო შეხვედრებისა და იმიტირებული სწავლების ჩატარების პრევენციული ღონისძიებები. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, დაწესებულებაში პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, რომელთა ფარგლებშიც პერსონალი ეცნობა უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის ინსტრუქციებს, ხოლო შემდგომ ეტაპზე ხორციელდება იმიტირებული სწავლება, რომლის მიზანია საგანგებო სიტუაციაში მოქმედების პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმება და შეფასება. პროცესის ორგანიზებასა და კონტროლზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე კადრების დარგში, რომელიც უზრუნველყოფს ღონისძიებების ჩატარებას განსაზღვრულ ვადებში, ატარებს დამსწრეთა და არდამსწრეთა აღრიცხვას და შედეგებზე ინფორმაციას წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელობას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება N 2/005, 29.04.2026წ. შრომის უსაფრთხოების წესის დამტკიცების თაობაზე;
- დირექტორის ბრძანება N2/009, 31.05.2024წ. — პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერის განსაზღვრის შესახებ;

- ბრძანება N2/12, 10.06.2024წ. — მოსწავლეთა და დასაქმებული პირების პერსონალური მონაცემების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე;
- ბრძანება N2/031, 12.09.2025წ. — უსაფრთხოების ინსტრუქციისა და საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესახებ საინფორმაციო შეხვედრებისა და იმიტირებული სწავლების ჩატარების შესახებ;
- სკოლის წერილი N1/23, 31.07.2026წ. - ,,შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინსტრუქციის'' - რედაქტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილის MES 9 26 0000957645, 21.07.2026წ. საფუძველზე.
- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან MIA 5 26 02633431, 23.07.2026წ.;
- სკოლის მიმართვა სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სააგენტოსთან 1/19, 23.07.2026წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულება 2026-2027 სასწავლო წლიდან სასწავლო პროცესის განხორციელებას გეგმავს ახალ ლოკაციაზე, შენობაში, რომელიც მდებარეობს პეტრე ქავთარაძის ჩიხი N1-ში. კერძოდ, ოთხსართულიანი შენობის III და IV

სართულებზე. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლას აღნიშნული ფართი გააჩნია დროებით სარგებლობაში 2031 წლამდე და მოიცავს დამოუკიდებელ შესასვლელს პირველ სართულზე, ასევე 620,15 კვ.მ ფართს III სართულზე და 624 კვ.მ ფართს IV სართულზე, შესაბამისი კიბის უჯრედებით.
დაწესებულება სრულად არის დაკომპლექტებული საკადრო რესურსით და აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. საკლასო ოთახები და კაბინეტები ხასიათდება ბუნებრივი განათებით, კეთილმოწყობილია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. შენობის III სართულზე განთავსებულია ექვსი საკლასო ოთახი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის, ბიბლიოთეკა/კომპიუტერული კლასი, სამასწავლებლო, რესურსოთახი, ლაბორატორია, სამზარეულო, სასადილო ოთახი და სველი წერტილი. IV სართულზე მოწყობილია ექვსი საკლასო ოთახი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის, ექიმის კაბინეტი, უცხოური ენების კაბინეტები, სპორტული დარბაზი, ასევე სველი წერტილები, მათ შორის — ადაპტირებული.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რეაქტივებითა და საჭირო მასალებით. ინფრასტრუქტურა ითვალისწინებს ინკლუზიური გარემოს პრინციპებს — სართულებს შორის გადაადგილება შშმ პირთათვის შესაძლებელია ასაკეცი პანდუსების საშუალებით, ხოლო შენობის შესასვლელში დამატებითი პანდუსის საჭიროება არ დგას. გარდა ამისა, დაწესებულების ეზოში იგეგმება სპორტული მოედნის მოწყობა, რისთვისაც აუცილებელია მხოლოდ რბილი საფარის დაგება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსების განკარგვის წესი" — შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის დირექტორის 2026 წლის 29 აპრილის N2/005 ბრძანებით, რომელიც არეგულირებს დაწესებულების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსების განკარგვის ზოგად წესსა და პრინციპებს. პარალელურად, შედგენილი აქვს „სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი", რომელიც დეტალურად განსაზღვრავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიით, კომპიუტერული კლასითა და შესაბამისი ტექნიკით, სპორტული დარბაზითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის პირობებსა და პროცედურებს. ორივე დოკუმენტის არსებობა

ცხადყოფს, რომ დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს როგორც მატერიალურ რესურსებზე წვდომის საერთო პრინციპები და ნორმები, რომელიც აზუსტებს კონკრეტული საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების წესებს. ზემოაღნიშნული რეგულაციების არსებობა და მათი მკაფიო სტრუქტურა მიუთითებს იმაზე, რომ სკოლას გააჩნია საკმარისი ორგანიზაციული საფუძველი იმისათვის, რომ ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსებზე წვდომა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის იყოს გამჭვირვალე, სისტემური და თანაბრად ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლის ბიბლიოთეკის სივრცე ორმაგი დანიშნულება აქვს, გარდა საბიბლიოთეკო ფუნქციისა, მასში განთავსებული კომპიუტერული ტექნიკა (12 პორტატული კომპიუტერი) გამოიყენება ტექნოლოგიების საგნის გაკვეთილების ჩასატარებლადაც. საგაკვეთილო ცხრილი და სივრცის გამოყენების განრიგი ისეა ორგანიზებული, რომ უზრუნველყოფილია ორივე პროცესის, სასწავლო გაკვეთილებისა და საბიბლიოთეკო მომსახურების შეუფერხებელი და კოორდინირებული განხორციელება.
ბიბლიოთეკის ფონდი ერთობლივად აერთიანებს 4,255 ერთეულ ბეჭდურ და 4,291 ერთეულ ელექტრონულ გამოცემას, რაც სრულად უზრუნველყოფს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სახელმძღვანელოები კლასების მიხედვით არის დაკომპლექტებული საკმარისი რაოდენობით. ფონდში ასევე წარმოდგენილია მხატვრული, შემეცნებითი, სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. ბიბლიოთეკის აღრიცხვის სისტემა მოწესრიგებულია — ფუნქციონირებს როგორც ტრადიციული ბეჭდური, ისე ელექტრონული კატალოგი, ყოველ ეგზემპლარზე მიბმულია მკითხველის ბარათი ჯიბაკის საშუალებით, ხოლო ფონდის მთლიანი აღრიცხვა წარმოებულია ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნში. ბიბლიოთეკას გააჩნია სამკითხველო დარბაზი (12 სასწავლო მაგიდა და კომპიუტერი), სადაც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ როგორც ბეჭდური, ისე ციფრული რესურსებით. სკოლა დარეგისტრირებული OpenBiblio-შიც. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

დაწესებულების შესასვლელი მდებარეობს მიწის დონეზე, რის გამოც შენობაში შესვლისას დამატებითი პანდუსის მოწყობის საჭიროება არ დგას — არსებული მოცემულობა უზრუნველყოფს ბარიერის გარეშე შესვლის შესაძლებლობას. რაც შეეხება სართულებზე გადაადგილებას, იმ სართულებზე, სადაც განთავსებულია საკლასო ოთახები და ტარდება სასწავლო აქტივობები, კიბეებზე დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსები, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებას სართულებს შორის. დამატებით, დაწესებულებაში გამოყოფილია ერთი ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც მოწყობილია შშმ პირებისთვის. სკოლაში მოწყობილია რესურსოთახი, რომლისთვისაც გამოყოფილია ცალკე სივრცე და რომელიც განკუთვნილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობისა თუ დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია დაცულობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურა, რომლის შენარჩუნებასა და განვითარებას ხელს შეუწყობს ახალ ლოკაციაზე საქმიანობა. სასკოლო სივრცე გამოყენებული იქნება არა მხოლოდ სასწავლო პროცესის, არამედ მოსწავლეთა უნარების გამოვლენის, თვითრეალიზაციისთვის. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც გააგრძელებს თანამშრომლობას სკოლის ადმინისტრაციასთან და დამოუკიდებლად დაგეგმავს და განახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობებს, მათ შორის, ინტელექტუალურ თამაშებს. ასევე, ახალ სასკოლო სივრცეშიც გაგრძელდება საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება. დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურული რესურსები ორმაგ დატვირთვას ატარებს. ბიბლიოთეკის სივრცე გამოიყენება არა მხოლოდ სასწავლო რესურსებზე წვდომისთვის, არამედ წარმოადგენს კულტურული და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების, პროექტებისა და არაფორმალური აქტივობების განხორციელების ადგილს, სადაც სასკოლო საზოგადოების წევრები ერთმანეთს ხვდებიან სასწავლო პროცესის მიღმა. სპორტული დარბაზი ემსახურება არა მხოლოდ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარებას, არამედ წარმოადგენს სივრცეს, სადაც შესაძლებელია სპორტული და გუნდური ხასიათის ღონისძიებების, შეჯიბრებებისა და სხვადასხვა თემატური აქტივობის ორგანიზება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის, ჯანსაღი კონკურენციისა და ერთიანობის განცდის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- დირექტორის ბრძანება N2/005, 29.04.2026წ. — მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი;
- მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტის თანახმად, სკოლის საკუთრებაშია ინტერნეტში ჩართული 16 კომპიუტერი, პირველკლასელთა ბუკები – 7, გერმანული ენის კაბინეტში smart- ტელევიზორი, პრინტერი - 4, ქსეროქსი/სკანერი - 2; სკანერი - 1, პროექტორი - 2. კომპიუტერების ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში. სკოლაში უზრუნველყოფილია ხარისხიანი და ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესი. ინფორმაციული ხელმისაწვდომობისა და კომუნიკაციის კუთხით, დაწესებულებას გააჩნია ვებ. გვერდი (http://glcschool.ge/) და ოფიციალური Facebook გვერდი (https://www.facebook.com/GlcSchool), ინტერნეტ მომსახურებას კი უწევს პროვაიდერი მაგთიკომი. აღნიშნული პლატფორმები რეგულარულად განახლდება და მოიცავს ვრცელ ინფორმაციას დაწესებულების საქმიანობის შესახებ, მათ შორის, შინაგანაწესს, სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილს, შეფასების სისტემას, სასკოლო სიახლეებს, ისტორიას, პედაგოგიური კოლექტივის შემადგენლობას, მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობას, დასვენების საათების ორგანიზების პრინციპებს, სკოლაში ჩარიცხვის წესებს, საერთაშორისო პარტნიორობის მიმართულებებსა და საკონტაქტო მონაცემებს. ციფრული არხების მეშვეობით მშობლებს შესაძლებლობა ეძლევათ, მიიღონ და გაავრცელონ ინფორმაცია, უკუკავშირი დაამყარონ დაწესებულებასთან, ხოლო ელექტრონული ჟურნალი ,,schoolbook" საშუალებით უზრუნველყოფილია სკოლასთან შეუზღუდავი და უწყვეტი კომუნიკაცია. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მასზე ხელმისაწვდომობის პირობები. აღნიშნული დოკუმენტი ექვემდებარება პერიოდულ განახლებას ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიური ბაზის შესაბამისობას მიმდინარე საჭიროებებთან და თანამედროვე სტანდარტებთან. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები", რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, რომლებიც მიმართულია სკოლის მმართველობით, სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესებში კომპიუტერული და საინფორმაციო რესურსების ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებაზე, სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომხმარებლის უფლება-მოვალეობების განსაზღვრასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს

„ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების ზოგადი წესი" — დირექტორის N2/011 ბრძანებით (9 ივნისი, 2026წ.), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2026 წლის 4 ივნისის №73/ბ ბრძანების საფუძველზე. წესი განსაზღვრავს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების პირობებს, მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის არხებს, ასევე სკოლისა და მოსწავლის შესაბამის უფლება-ვალდებულებებს, მათ შორის, ამონაკლის შემთხვევებს (ჯანმრთელობის მდგომარეობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, საგანგებო სიტუაცია), როდესაც დასაშვებია მათი გამოყენება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტი;
- შესყიდვების კუმენტაცია;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები
- დირექტორის ბრძანება N2/011, 09.06.2026წ. — ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების ზოგადი წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „საქმისწარმოებისა და არქივის მუშაობის ზოგადი წესები" — შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის დირექტორის N2/005 ბრძანებით (29.04.2026წ.). დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვის ერთიან ციკლს: შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციის მიღების, რეგისტრაციისა და დამუშავების წესს, მათ შორის, ბრძანებების, ოქმების, ცნობებისა და ხელშეკრულებების გაფორმებისა და ნუმერაციის

სისტემას. ასევე, დეტალურადაა გაწერილი პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობები, დოკუმენტების სავალდებულო რეკვიზიტები და ხარვეზის დადგენის პროცედურა. ცალკე თავად რეგულირდება არქივის საქმიანობა, დოკუმენტაციის შენახვის კონკრეტული ვადები თითოეული დოკუმენტის ტიპისთვის და არქივში გადაცემის წესი, რაც ეფუძნება „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ" საქართველოს კანონსა და იუსტიციის მინისტრის შესაბამის ბრძანებებს. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადასტურა, რომ დაწესებულებაში საქმისწარმოება ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი და მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა არ იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა დოკუმენტების ავტომატიზებულ მართვას, დოკუმენტების ციფრულ ბრუნვას შექმნიდან არქივირებამდე და პროცესის ამსახველი ერთიანი ციფრული პლატფორმის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ვინაიდან დაწესებულებაში დანერგილი არ არის თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, არ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ ინდიკატორი შეფასდეს დადებითად. <u>როგორც სკოლის არგუმენტირებული პოზიციიდან ირკვევა, სქულბუკს აქვს დოკუმენტბრუნვის ფუნქციონალი, რაც დადასტურებულია ხელშეკრულებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით. შესაბამისად, ინდიკატორს, რომელიც შეფასებული იყო უარყოფითად, მიენიჭა შესრულების სტატუსი. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.</u>

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა განიხილეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული ყველა ველი. მითითებულია ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, არჩეული აქვთ სახელმძღვანელოები, შეტანილი აქვთ სკოლის პერსონალის და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების პერსონალური მონაცემები და ა.შ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ მარეგულირებელი უწყებების ინფორმირებას და მჭიდროდ თანამშრომლობს მათთან. კორესპონდენციის რეესტრი ადასტურებს მიმოწერას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და თბილისის მერიასთან.
ცალკე აღსანიშნავია ფინანსური ანგარიშვალდებულება: დაწესებულების ფინანსური დოკუმენტაცია (მათ შორის, სკოლის ბალანსი) კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ვადებში წარედგინება საგანმანათლებლო რესურსცენტრს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება N2/005, 29.04.2026წ. — საქმისწარმოებისა და არქივის მუშაობის ზოგადი წესები;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool);
- კორესპონდენციის რეესტრი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სასკოლო საზოგადოების დროული ინფორმირება უზრუნველყოფილია მრავალმხრივი კომუნიკაციის მეშვეობით. დაწესებულება იყენებს ოფიციალურ ვებგვერდს (glcschool.ge), სოციალურ ქსელებს — Facebook-ისა და Instagram-ის ოფიციალურ გვერდებს, ასევე

ელექტრონულ ჟურნალს schoolbook-ს. სწრაფი კომუნიკაციისთვის შექმნილია კლასების მიხედვით მესენჯერ-ჯგუფები, ხოლო დირექცია პერიოდულად ავრცელებს მიზნობრივ ინფორმაციას „წერილები მშობლებს" სერიის სახით. სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ასევე შესაბამისი დოკუმენტაცია, განთავსებული სკოლის ღრუბლოვან სივრცეში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მშობლებთან წარმოებული მიმოწერის ნიმუშებსაც, რომელთა შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კომუნიკაცია შინაარსობრივად მდიდარი და სტრუქტურირებულია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დაწესებულების ოფიციალურ ვებ. გვერდზე წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაცია სტრუქტურირებული სახით. მათ შორის, სასწავლო გეგმისა და შინაგანაწესის შესახებ, ასევე მიმდინარე სიახლეები, რაც გამორიცხავს დაინტერესებული პირების მხრიდან არასრული ან მოძველებული ინფორმაციის მიღების რისკს. გარდა ცენტრალიზებული საკომუნიკაციო არხებისა, მნიშვნელოვან როლს ინფორმაციის გავრცელებაში ასრულებენ კლასის დამრიგებლები, რომლებიც უშუალო კონტაქტში იმყოფებიან მშობლებთან და პასუხისმგებელნი არიან კონკრეტული კლასის შესახებ ინფორმაციის დროულ და ზუსტ მიწოდებაზე. ამასთან, დაწესებულების მიერ შედგენილი დოკუმენტაცია და მკაფიო რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ ინფორმაციის გავრცელების წესსა და პასუხისმგებელ პირთა ფუნქციებს, გამორიცხავს სკოლის საქმიანობის შესახებ არასწორი ინფორმაციია გავრცელებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „მშობლის ინფორმირებისა და სასკოლო საზოგადოების საქმიანობაში ჩართულობის წესი", რომელიც განსაზღვრავს მშობელთა ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმებს, მათ შორის, დამრიგებელთა და

საგნის მასწავლებელთა ორგანიზებულ შეხვედრებს, მშობელთა კრებებს, რომელთა თემატიკაც განისაზღვრება წინა პერიოდის ანალიზისა და მასწავლებელთა, დირექციისა და მშობელთა კლუბის მოსაზრებების საფუძველზე.
სკოლას დამტკიცებული აქვს „სკოლის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა", რომელიც ითვალისწინებს მშობელთა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა გამოკითხვას (კითხვარების მეშვეობით) ცვლილების პროცესიდან ერთი თვის შემდეგ, გამოვლენილი გამოწვევების ანალიზსა და შედეგების პერიოდულ წარდგენას მზრუნველთა საბჭოსთვის შემდგომი კორექტირებისთვის. დაწესებულებაში ფუნქციონირებს მზრუნველთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ჩართულობის პლატფორმას და უზრუნველყოფს მშობელთა, თემისა და პარტნიორთა მოსაზრებების სისტემურ შეგროვებასა და გათვალისწინებას სკოლის განვითარების პროცესში. ზემოაღნიშნული მექანიზმების ერთობლიობა: რეგულარული შეხვედრები, სტრუქტურირებული გამოკითხვები და მზრუნველთა საბჭოს საშუალებით უკუკავშირის შეგროვება და დამუშავება მოწმობს, რომ სკოლა სისტემურად იყენებს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ უკუკავშირს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

დაწესებულების ვებ. გვერდზე (www.glcschool.ge) განთავსებული ინფორმაცია ქართულ ენაზეა, რაც უზრუნველყოფს, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრმა შეძლოს შინაარსის სრულფასოვნად აღქმა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ. გვერდის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ მასზე სრულყოფილადაა წარმოდგენილი სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. დეტალურის სკოლის სტრუქტურაც, შესაბამისი ბლოკებით („სკოლის სტრუქტურა და განვითარება",

„დირექცია და ადმინისტრაცია", „კათედრები"). მკაფიოდაა დასახელებული სკოლის პროგრამები — სასკოლო-სასწავლო გეგმაში, გერმანული ენის სადიპლომო DSD I/DSD II პროგრამა, TOEFL სასერტიფიკატო პროგრამა, Max Math, ევროპული ენების სკოლა. ასევე დეტალურადაა გაწერილი ჩარიცხვის პროცედურები, ცალკე პირველკლასელებისთვის და მე-2–12 კლასებისთვის. წარმოდგენილია მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებიც: ფსიქოლოგი, ექიმი/ექთანი, ლოგოპედი, საკონსულტაციო სისტემა, ახალი მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმი. ვებ. გვერდზე ხელმისაწვდომია საკონტაქტო ინფორმაცია. გასაჩივრების მექანიზმებთან დაკავშირებით მითთებულია, რომ სკოლას აქვს „საჩივრის განხილვის წესი და სააპელაციო კომისია" და მშობელს უფლება აქვს დირექტორთან წარადგინოს საჩივარი. ცალკე ბლოკი ეთმობა დაწესებულების „ფინანსური უზრუნველყოფას". **დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი ვებ. გვერდზე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების სტატუსი —ვერ დადასტურდა ინფორმაცია მათი ფაქტობრივი შესრულების შესახებ (ხარვეზი).** ***დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ვებ. გვერდის ბმულები, რომელთა განხილვის შედეგად დადასტურდა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები წარმოდგენილია ვებ გვერდზე. ინდიკატორი რომელიც შეფასებული იყო უარყოფითად, შეფასდა სრული შესაბამისობით. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ოფიციალური ვებგვერდი (www.glcschool.ge / glcschool.ge);
- Facebook-ის ოფიციალური გვერდი;
- მშობლებთან წარმოებული მიმოწერის ნიმუშები
- „მშობლის ინფორმირებისა და სასკოლო საზოგადოების საქმიანობაში ჩართულობის წესი"
- „სკოლის ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა"

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

დაწესებულების ფინანსური რესურსების ანალიზი ცხადყოფს, რომ სკოლას გააჩნია საკმარისი ეკონომიკური პოტენციალი საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის. შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული სწავლის საფასური, ასევე, ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტის ფორმირების ეტაპზე დაწესებულება ითვალისწინებს პროგნოზირებულ შემოსავალ-ხარჯებს და დაწესებულებისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს, რაც უზრუნველყოფს ფინანსური დაგეგმვის შესაბამისობას სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებთან. კერძოდ, ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები საგანმანათლებლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უზრუნველსაყოფად, პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და მოტივაციის ხელშესაწყობად, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რესურსების შესაძენად, ისევე როგორც სასწავლო პროცესის ხარისხიანი და შეუფერხებელი მიმდინარეობისთვის.
სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა ძირითადი აქტივობა ფინანსურად უზრუნველყოფილია და გამოყოფილი რესურსების მოცულობა შეესაბამება რეალურ საჭიროებებს, რაც მიუთითებს ბიუჯეტის რეალისტურობაზე. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის მატერიალური რესურსების განკარგვის წესი (დირექტორის ბრძანება N2/005, 29.04.2026წ.), რომლითაც ხელმძღვანელობს. **ინდიკტორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დაწესებულებაში დანერგილია ბიუჯეტის რეგულარული დაგეგმვისა და განხილვის პრაქტიკა. კერძოდ, ყოველწლიურად მუშავდება წლიური ბიუჯეტის გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ მიზნებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად აგებულია პროგნოზირებულ მაჩვენებლებზე, რის გამოც შესაბამისი საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა, გადახედოს დამტკიცებულ ბიუჯეტს და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს ფინანსური დაგეგმვის მოქნილობასა და რეალურ საჭიროებებთან შესაბამისობას. ფინანსური რესურსების განკარგვის პროცესი სათანადოდ არის დოკუმენტირებული და ფიქსირდება შესაბამის საბუღალტრო დოკუმენტაციაში, რაც უზრუნველყოფს ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალობასა და აღრიცხვიანობას. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების 2026 წლის ივნისის მდგომარეობით მომზადებული ბალანსი, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლას გააჩნია მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები, ასევე შესაბამისი ვალდებულებები, რომელთა თანაფარდობაც ასახავს დაწესებულების მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის ეკონომიკურ საფუძველს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ფინანსური აღრიცხვა წარმოებულ იქნა სისტემურად, სააღრიცხვო პრინციპების დაცვით. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საქართველოს სასწავლო ცენტრის სკოლა ჯიელსის მატერიალური რესურსების განკარგვის წესი (დირექტორის ბრძანება N2/005, 29.04.2026წ.);
- სკოლის 2026 წლის ბალანსი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 31.08.2026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: